

K 80.451  
K 3



ଚାରିଦିନ

ମିଶନଫିଲ୍ଡର  
ଅନ୍ତରୀଳିକ

8A8-1  
საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკი

# კასპილი

## მიზანური პროგრამა

K 80.451  
3




საბაჟო და ახალგაზრდობის ღიგერაციის  
სახელმწიფო გამომცემლობა -

1958



පොරුගම්බලා ආ. රූතාතානාලා



## შესავალი

### I \*

გამოჩენილმა ბერძენმა ტრაგიკოსმა ეს ქილე 3 (525—456) პრომეთეს სახით გამოიყვანა კაცობრიობის კულტურის „მესკეური“. ტრომეთემ ადამიანი ველური მდგომარეობიდან განათავისუფლა და კრეტურულ ცხოვრებას აზიარა, ასწავლა მას ცეცხლის საშუალებით ყოველგვარი ხელობა. ხოლო თავისი პირადი მოღვაწეობითა და თავგადასაცლით უჩვენა მაგალითი შეუდრევილი მოქმედებისა, თავისუფალი აზიარა და ქედმოუხრელი პრინციპულობისა.

ის მითი, რომელიც ესქილებ საუცილებლად დაუდო თავის ტრაგედიას „მიჯაჭვული პრომეთე“, დაზმოგვცემდა, რომ პრომეთემ ზევსს მოჰპარა ცეცხლი და ჩამოუტანა ადამიანებს (ასწავლა მათ ცეცხლის მოსმარება), ხოლო ზევსი განუჩასხდა პრომეთეს და მიაჭავებინა იგი კლდეზე. ზევსის მიერ მიჩნიალი არწივი უკორტნიდა პრომეთეს ლვიძლს. შემდეგ ქვეყნიერებას მოევლინა ჰერაკლე, რომელმაც მოჰქმდა ეს არწივი და, ამგვარად, პრომეთე განათავისუფლა.

მოქმედება ესქილეს ტრაგედიისა წარმოებს სკვითიაში, კავკასიის მთაშე. ტრაგედია იწყება პროლოგით („შესავალით“), რომელშიც საუბრობს, ორი პირი: „ძალა-ძალადობა“ (წარმომადგენელი ზევსისა) და მშედლობის ლმერთი ჰეფესტო. „ძალას“ წამოუკვანია კლდეზე ზევსის მიერ მსჯავრდადებული პრომეთე, რათა იგი ჰეფესტოს მიაჭავებინოს. ჰეფესტო ჯვი-ანებს პრომეთეს მიჯაჭებს, მას იგი ებრალება, როგორც მახ-ლობელი; თან ასე ფიქრობს, რომ პრომეთეს არ დაუმსახურებია ეს სასჯელი (იგი ისჯება კაცომოყვარეობისათვის).

ჰელიკესტომ კარგად იცის, რომ პრომეთეც ღმერთია და ზევსი სიც ღმერთია; რომ პრომეთე ადამიანებზე ზრუნავდა და ზევსი ამის წინააღმდეგი იყო; რომ ზევსი დიდ სისასტიკეს იჩინს, როგორც ეს სჩვევიათ ახალ შპრანებელთ:

„სასტიკე არის მპრანებელი ახალი მუდამ“.

ამბობს ჰელიკესტო. როგორც ვხედავთ, ჰელიკესტო პრომეთეს მომხრე ღვთაებაა; მაგრამ მას, სამწუხარიდ, შველა არ შეუძლია. „ძალა“ მოაგონებს ჰელიკესტოს, რომ ზევსის ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესრულებული. ჰელიკესტო იძულებულია ზევსის ბრძანება სისრულეში მოიყანოს და მიაკრავს პრომეთეს კლდეზე ფაჭვებითა და ლურსმნებით. „ძალა“, და ჰელიკესტო წავლენ.

მარტოდ დარჩენილი, კლდეზე მიჯაჭული პრომეთე მძიმე ტკივილისაგან მწარედ კვერცის და თავის უბედურებას შესჩივის ცას, დედამიწას, ყოვლისმხედველ შეს.

„ამ ბორცვილებით ეს შეაცხვენა ჩემი სურავი  
ნეტარ ღმერთების მპრანებელმა, ახალ მობილზა“.

ამბობს იგი.

ფაჭვების უღარუნზე, უროს ცემაზე და პრომეთეს კვნესაზე მოფრინდება ოკეანიდების—პრომეთეს ბიძაშვილების გუნდი.

პრომეთე უამბობს ოკეანიდებს, რატომ დასაჭა იგი ზევსმა. ტრძოლა იყო ძველ ტიტანებსა და ზევსს შორის; ტიტანები აშკარად იტრძოდნენ, ლიქნა და ცბიერება არ სწამდათ. პრომეთე კი თავისი დედის (თემიდა-ვაიას) რჩევით მოუწოდებდა ტიტანებს ცბიერების გუშს დასრულობოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ პრომეთე თვითონ დაადგა ამ გუშს: ზევსის მხარე დაიჭირა, მასთან კავშირი შექრა. ზევსმა დაამარცხა პრომეთეს დახმარებით ტიტანები, ხოლო გამარჯვების შემდეგ დიდი სისასტიკე გამოიჩინა: მან თავისიანები დასაჩუქრა, სხვადასხვა პატივი უბოძა, ხოლო საბრალო ადამიანებს კი გადაემტერა.

„დაწინ ზედმიერი დაიგიშა და კოდეგ შეტიცა:  
ახლა ღმერთების განიხრასა მოკედავთ მოლგმისა,  
რომ მას ადგილს დანერგა სულ სხვა, ახალი“.

პრომეთეს უბედურების ამბავი გაუგია მის ბიძას, ოკე-  
ანეს; იგი ფასკუნჯით მოფრინდება პრომეთესთან და ურ-  
ჩევს დაემორჩილოს ზევსს. მაგრამ პრომეთე შეუდრეველია:  
იგი მზად არის იტანოს ტანჯვა-წვალება, ზევსის წინაშე  
ქმდს არ მოიხსრის; ოკეანეს კი ურჩევს — უკან გაფრინდეს და  
ოფითონაც თავს არ დაიტეხოს ზევსის რისხეა. ოკეანე მიღის.

შემდეგ, პრომეთე თავის მონოლოგში ლაპარაკობს დეაზლ-  
ზე, რომელიც მას მიუძღვის აღამიანის წინაშე: აღამიანი უმე-  
ცარი იყო და პრომეთემ ჩაუდგა მას აზრი; ასწავლი სახლების  
აგება, აზრიანი შრომი, მაღნის მოპოვება და დამუშავება;  
ერთი სიტყვით, პრომეთემ გამოიყვანა აღამიანი ჭირველყოფი-  
ლი მდვომარეობიდან:

„აქეს ხელოვნება ურველვარი ხალხს პრომეთესგან.“

აი, ასეთი კაცომყვარეობისათვის იგი დაისაჯა ზევსისაგან. მიუხედავად იმისა, რომ პრომეთე უზომოდ იტანჯება, ის მაინც იმედიანად შეჰქურებს მომავალს; ბორკილებისაგან მაინც განვთავისულდები, — ამბობს პრომეთე, — ზევსი იძუ-  
ლებული იქნება დაუთმოს უცილებლობას; თუ როგორ მოხ-  
დება ეს, ჩემს საიდუმლოებას შეადგენსო.

შემდეგ პრომეთესთან მოიჩინებს ინაქეს მული იო, რომელ-  
საც სდევნის ჰერა (ზევსის მეუღლე; იო ოდესძლაც ზევსის სატრ-  
ფო იყო). იოსთან საუბარზე პრომეთე ამბობს: ჩემს წვალებას  
არ აქვს საზღვარი, სანამ ზევსის ტირინია არ დაემხობა. გა-  
ხარებული იოს შეკითხვაზე პრომეთე მოკლედ უპასუხებს:  
ზევსი დაიღუპება, მას ეყოლება შვილი, მამაზე უფრო ძლი-  
ერი, ის დაამხობს ზევსის ტახტს; თუ როგორ შეუძლია ზევსს  
გადარჩის, ეს ჩემს საიდუმლოებას შეადგენსო. — ამბობს  
პრომეთე.

ა ტრაგედიის უკანასკნელ ნაწილში (ეჭსოდოს ში) პრო-  
მეთე კვლავ უბრუნდება ამ საიდუმლოების საყითხს და გაკვ-  
რით ამბობს: ფრჭია ზევსის სამაცე და თავგასულობა; ის  
ერთ ქალთან შეუღლებს პირებს, მასი გამო ტახტს დაკრ-  
აჭს; ლმერითაგან ერავინ ასწავლის, თუ როგორ შეუძ-

ლია, გადაურჩეს უბედურებას. მხოლოდ მე ვიცი, მას ასენისო.

ამ სიტყვების თქმისთანავე სცენაზე გაჩნდება პერმესი (ლერთი — შიკრიკი) და გაღმოსცემს პრომეთეს ზევსის ბრძანებას: სოქვი, რა საიდუმლოება იცი ქორწინების შესახებ, თუ არ გინდა კიდევ მეტი უბედურება დაგატყდეს თავშეო. მაგრამ პრომეთეს არ აშინებს მოსალოდნელი ტანჯვა-წვალება: იგი უარით ისტუმრებს პერმესის და თან დასძენს:

„მე არ გვეცვლიდი ჩემს წამებას შემს მონობაზე.

უშობესია შონა ვიყო ამ კლდისა, ვიღრე

მიცნე, ერთგული ანგელოზი მამა ზევსისა“.

პრომეთეზე არ მოქმედებს მუქარაც: თუ ზევსს არ დაემორჩილები, ეუბნება პერმესი, ას ელეით და მეხით ამ კლდეს გააპობს და შიგ ჩაგაფდებსო... მიუხედავად მუქარისა, პრომეთე მაინც არ უომოსს პერმესი. პერმესი გადის. ისმის კეპა-ქუხალის ხმა, კლდე სკდება და თან ჩაიტანს პრომეთეს<sup>1</sup>.

აი, ასეთია ესჭირლეს „მიზაპეული პრომეთეს“ შინაარის.

## II

პრომეთეს პრობლემის გადაჭრისთვის მრავალი სხვადასხვანიარი ჰიპოთეზაა წამოყენებული. მკლევარნი ერთ ამავეში კი თანაბრძნი არიან: პრომეთე წარმოადგენს აღმარინების სიძლიერის სიმბოლოს, სიმბოლოს კულტურისას, თავისუფლებისათვის ბრძოლასას.

მაგრამ მეითნველის წინაშე აუცილებლად დგება საყითხი

<sup>1</sup> ესჭირლეს ტრილოგია პრომეთეს ოებაზე შედგებოდა ტრაგედიებისაგან: „მაიაპეული პრომეთე“, „განთვისულებული პრომეთე“ და „ცეცხლოსნი პრომეთე“. მეორე ტრაგედიაში („განთვისულებული პრომეთე“) გადმოიყენება იყო პრომეთეს თავისი ავალი შეკვეთის შემდეგ, განთვისულების და თვით განთვისულებაც, ამ ტრაგედიაში ძმები (ტატანები) სთხოვდნენ პრომეთეს დამორჩილებოდა ზევსს და გაემცენებინა მისთვის ხაიდუმლოება, რაც პრომეთეს ისსინიდა ტანკვისაგან, მაგრამ პრომეთე კალავინდებულ შეუღრუები იყო. პრომეთეს შეუღრუებობა, მეყანებოდა მას იმ ამშენის, რომ სიმართლე გამოიჩვენდა და ბიროება ლითერატურულებოდა, რომ მას განთვისულებდა ის შთამომავალი—პერმელი. მართლაც პერმელები იყო განთვისულა.

ზევსისა და პრომეთეს ურთიერთობის ხასიათის შესახებ. ეს-  
ქილეს „მიგაცყოლი პრომეთეს“ მიხედვით ზევსი და პრომე-  
თე უცილებლად ერთი-მეორესთან დაპირისპირებული ღვთა-  
ებები ჩანან. ამ ორი ღვთაების ურთიერთ დაპირისპირება  
სრულიად სამართლიანად ათქმევინებს მკვლევართ, რომ აქ  
საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა კულტურის პრძოლსთან ერთ-  
მანეთში. მაგრამ თუ ეს ორი ღმერთი, ზევსი და პრომეთე,  
ორი სხვადასხვა კულტურის განსახიერებას, წარმოადგენენ  
და ორივე ეს ღვთაება ბერძნულ სამყაროს ეკუთვნის, მაშინ  
უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ბერძნული კულტურის ორი სა-  
ფეხურის ერთმანეთთან შეჯახებას აგვისახევენ: ერთი მათგანი  
იქნება განსახიერება ბერძნული კულტურის დაბალი საფეხუ-  
რისა, მეორე — მაღალი საფეხურისა. ესჭილეს ტრაგედიის მი-  
ხედვით, კულტურის უფრო მაღალი საფეხურის წარმომადგენე-  
ლია პრომეთე, უფრო დაბალისა — ზევსი. ამავე დროს ესჭი-  
ლეს ტრაგედიისაც და მითებიდანაც ჩანს, რომ ზევსი შე-  
დარებით პრომეთესთან ახალგაზრდა ღმერთია, ახალი თაობის  
ღმერთია. მამასადამე, ისე გამოდის, რომ ბერძნულ კულტუ-  
რის თვისი განვითარების გზაზე ჯერ ჰქონდა მაღალი საფე-  
ხური (პრომეთე). მერე კი — დაბალი საფეხური (ზევსი), რაც,  
რასაევირელია, შეუძლებელია დაუკშეთ.

✓ ამიტომ პრომეთეს პრობლემის გადატრის შესაძლებლობა  
ჩვენ გვესახება სულ სხვა აპექტში, სახელდომა: პრომეთე  
არ არის ბერძნული ღვთაება, იგი იმ ხალხის ღმერთია,  
რომელიც ბერძნების მოსკელამდე ცხოველობდა და რომელიც  
მაღალი კულტურის მატარებელი იყო; ხოლო ზევსი — წმინდა  
ბერძნული ღვთაებაა; იგი იმ ბერძნების ღმერთია, რომელიც  
კულტურის საკმაოდ დაბალ საფეხურზე იღვნენ, როდესაც  
მოვიდნენ და დასახლდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე,

მესამე ტრაგედიაში („იუსტოსანი პრომეთე“) დაღმუცემული იყო,  
რომ, ასევენ პრომეთე უკვე განთავსისულებულია ბორკილებისაგონი, მო-  
დი შერიცხა ზევსსა და პრომეთეს შორის. პრომეთემ გაუმჯობენი ზევსს  
საოცემლოება, რომელ გადატრინინ იყი ტახტის დაისახვას.

მეორე და მესამე ტრაგედიები მოღწეული იან; მთლიან რამდე-  
ნიც ნაწყვეტია გადატრინილა.

ეგეოსის ოქტოპლაგში და მცირე აზიის დასავლეთ სანაპირო  
ებზე. ახალმოსული ბერძნული მოსახლეობა (დაბალი კულტუ-  
რის მატარებელი) ებრძოდა დიდი კულტურის მქონე ძველ  
მოსახლეობას.

ვინ იყო ეს ძველი მოსახლეობა, რომელიც ბერძნებს დახ-  
ვდა მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე? პირ-  
ველ ყოვლისა უნდა ითვის, რომ ეს იყო არა ინდოევროპუ-  
ლი მოდგმის ხალხი. ეს იყო ხალხი, რომელიც სულ სხვა  
ენაზე ლაპარაკობდა. კიდრე ინდოევროპელი ჩერძნები; ამას •  
ამტკიცებს თვით ბერძნთა ისტორიკოსი ჰეროდოტე („ისტო-  
რია“ I, 57), რომელიც ამ ძველი მოსახლეობის ენას „ბარბა-  
როსულს“ (ე. ი. უცხოს, არა ბერძნულს) ეძახის. ჩვენი მეც-  
ნიერების დღვევანდელი მიღწევები გვავალებენ ისიც ვთქვათ,  
რომ ეს ძველი მოსახლეობა მერმანდელი საბერძნეთისა (ე. წ.  
წინაბერძნული მოსახლეობა) ენათესავება ქართველურ-კავკა-  
სიურ ტომებს. და პრომეთეს თქმულება, რომელიც ბერძნებ-  
ში დარჩენილი უძველესი თქმულებათაგანია, მოკოთხობდა  
წმინდედ აზლად მოსული ბერძნების პრიოლაზე წინაბერძნულ  
მოსახლეობასთან! V

დროთა კითარებაში ამ თქმულებამ განიცადა ცელილებე-  
ბი. მაგრამ მარნც ბოლომდე დაჩინა მაღალი და დაბალი  
კულტურის დაპირისპირების ძირითადი წაზები. ესქილეს  
დროს (VI-V საუკუნეში), რამაკირველია, აღარისეს ახსოვ-  
და ამ თქმულების წარმოშობა და პრომეთეც და ზევსიც ბერ-  
ძენ ღმერთებად მიაჩნდათ, რაღაც ახალშა ძველი დამორჩი-  
ლა და, ბოლოს და ბოლოს, პრომეთეც შეურიგდა ზევსს.  
ხოლო დაპირისპირება კულტურულობისა და ჩამორჩენილო-  
ბისა, პროგრესისა და ჩუგრესისა მუდამ იყრძნობოდა ამ  
თქმულებაში.

ესქილემაც გამოიყენა პრომეთეზე ზა ზევსზე აჩსებული  
მითი, რომელიც მისი აზრით, ბერძნთა თავგადასავალს გუ-  
ლისხმობდა, და თავისი ერის თავგადასავალის გაფალითზე

<sup>1</sup> აქედან გასავგებია პრომეთეს მოთხოვ და მიჩინოს თქმულების  
ნათესაობა ზოგიერთ ნაწილში.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სამსახურის მიერ, 2023 წლის 1 მარტის მიერ გვიცნენ.

უჩვენებელი მაყურებელის, თუ რა უპირატესობა აქვს პროგრესულობას, პრინციპულობასა და სიმედგრეს ჩამორჩენილობის, უპრინციპობისა და სილაბირის წინაშე. ესჭილე, როგორც გენიალური მოაზროვნე, უნდა დამდგარიყო თავისი წრის, მიწის-მფლობელი არისტოკრატიის ინტერესებზე მაღლა და უნდა ექადაგა ის იდეები, რომლებიც მის ერს აღმავლობის გზით წაიყვანდა. პოეტი დაადგა იმ ვზას, რომელიც ბერძენ ხალხს საბოლოო გამარჯვებას მოუპოვებდა: ეს ვზა იყო—ვზა მოწინავე იდეების გამარჯვებისა, მაგრამ ისე, რომ ბრძოლაში მონაწილე ორივე მხარე (ჩვენს შემთხვევაში—პრომეთე და ზევსი) ერთ ზასკვნამდე მიდიოდა, საბოლოოდ ხელიხელჩაკიდებული მუშაობდნენ.

### III

პრომეთე როგორც გამსახიერება პროგრესულობისა, პრინციპულობისა და სიმედგრეისა ყოველთვის იპყრობდა მოწინავე ადამიანების ყურადღებას. ყველა კიდევ თავის საღოქტორო დისერტაციაში („გამსხვავება დემოკრიტეს ნატურალოსოფიასა და ეპიკურეს ნატურალოსოფიას შორის“) ქ. მარქსი წერდა: «პრომეთეს აღიარება—„აშკარად გეტყვი: მეგავრებით ყველა ღმერთები“—არის ფილოსოფიის საკუთარი აღიარება, მისი საკუთარი წარმონათქვამი, მიმართული ყველა ზეციტური და მიწიერი ღმერთების წინააღმდეგ, რომლებიც არ სცნობენ ადამიანის თვითშევნებას უზრნაეს ღვთაებად. მის გვერდით არავითარი ღვთაება არ უნდა იყოს. მაგრამ საბრალო შიშიშარებს, რომელიც ზემობენ ფილოსოფიის მდგომარეობის მოჩვენებითი გაუარესების გამო სახელმწიფოში, ივი იმპერ უმეორებს, რაც პრომეთემ უთხრა ღმერთების მსახურს, ჰერმესს:

„ამ ჰერმიარიტად, უყოფანოდ, პირდაპირ გეტყვა:  
მე არ გავიცლიდი ჩემს წამებას შეს მონობაშე.  
უმეობესია მონა ეკუთ ამ კლისა. კიდრე  
მაცნე, ერთგული ანგელოზი მამა ზევსისა.“

პრომეთე—ყველაზე კეთილშობილი წმინდანი და წამებულია ფილოსოფიურ კალენდარში». შემდეგაც მარქსი იშვე-

ლიებდა თავის ნაწერებში პრომეთეს, როგორც მებრძოლის საყაცობრიო კულტურისათვის. „წმინდა ოჯახში“ იგი ამბობს: „ნათელი ბინა, ჩასაც პრომეთე ესკილესთან უწოდებს ერთ-ერთ უდიდეს საბოძვართავანს, რომელთა საშუალებით მან ველური აღამიანად გადააქცია, მუშებისთვის აღარ არსებობსონ“.

ამგვარად, პრომეთე, წინაბერძნული მოსახლეობის შეუდრეველი მებრძოლი და მოწინავე კულტურის წარმომადგენელი, ადამიანთა მითინაა ზოგად-საყაცობრიო სახებად, კაცობრიობის კულტურის მესვეურად.

ს. ყაუხჩიოშვილი

ବୁଝାଇବାର  
କଥା

amgac60 30660

|                      |  |
|----------------------|--|
| ଦାଲା ରା ଦାଲା ରାନ୍ଧିବ | — ଅମ୍ବିଶିଖାଲ୍ପେହେଲିନ୍ ଶ୍ରେଷ୍ଠୀସି, ଫ୍ରେମନ୍ଜେବି. |
| କୁଟୁମ୍ବିତା           | — କମ୍ପରିଟି ଉପରେଲିମି, ମିଶ୍ରଲେଣ୍ଡି.              |
| ପାନମ୍ବିତା            | — କୋଳିନୀ ମରମାଙ୍ଗ, ପିରୁଂବି.                     |
| କୁରିନ କ୍ୟାରେନ୍‌ଲେବିସ | — ର୍ଯ୍ୟାନ୍‌କ୍ୟୁଲିକ୍‌ସ ପିଲିତା ଗୁଣିଲି.           |
| ନ୍ୟାକିନ୍ଡି           | — ପିରୁଂବିନ୍.                                   |
| ମା                   | — ଅନ୍ତରୀକ୍ଷେତ୍ର ମେକ୍ସିନ୍, ନିର୍ବିଜ୍ଞ ପିଲି.      |
| ଶ୍ରେଷ୍ଠମ୍ବେଶ         | — ଶ୍ରେଷ୍ଠୀସି ମାପନ୍ତି.                          |

ମେହିରାରେ କଥାମନ୍ତର ଶିଳ୍ପରେ ମାନ୍ଦିଲୀ, ମତାଶି, କ୍ଷେତ୍ରରେ  
ରୁକ୍ଷି, ମାଲାର ରା ମାଲାରଗଢିଆ ଶ୍ରେଷ୍ଠମୁଣ୍ଡର ମନୋଧର  
ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ତ୍ରୀଙ୍କାର.

## პროლიტი

### ძალა

პა, მივაღწიეთ დედამიწის შორეულ საზღვარს,  
 სკეითთა ქვეყანას, უკაცრიელს და უდაბურსა.  
 ჰელისტო, უნდა აღმარიშულო მამის ბრძანება:  
 მიღი, შეპკარი აჩამზადა, ბორიოტმოქმედი  
 დაუმისხრეველი ბორკილების ჩეინის საბმელით  
 და ოვალშეუღიას, ამ ციცაბო კლდეს მიაჭაჭვე.  
 შენი მშვენება, წყარო ყოველ ისტატიმისა,  
 კეცხლი გიზგიზა მოიპარა და მოკედავთ უძღვა.  
 ზაგ ცოლვის გამო ღმერთებისგან დასასჯელია,  
 რათა ისწივლოს სიყვარული ზევსის ტაზრისა  
 და სამუდამოდ დაივიწყოს კაცომყვარობა.

10

### ჰელისტო

შენ ძალავ, და შენ ძალადობავ, ნება ზევსისა  
 ასრულებული გაქვთ სრულიად. შეუფერხებლად,  
 მე ვით გავბედო, ნათესავი — ეგ ჩემი ღმერთი,  
 გრიგოლებისგან დაუფარავ კლდეზე დავაძა?  
 და მაინც უნდა უნებურად გაებედო, რაღვან  
 მამის ბრძანების გარდავლენა საშიში პრის.

- შართლის მოქმედ დედის — ბრძენ თემიდეს ძეთ  
უბრძნესო, —
- შენთვის, ჩემთვისაც უნდორად და სავალალოდ,  
მძიმე სპილენძით უკაცრიელ ამ კლდეს მიგჭედავ,  
სად წაცის სახეს ვერ იხილავ, ვერვის მოუსმენ.
- შეისგან დამწერაზო ტანი შავად დაგეხრუკება.  
შეეზად მისჩნევ, როს დაპფარავს დღის ელვარებას  
ის გრილი ღმიერ, მოციმციმე, ჭრელკაბიანი.
- დილით კი ისევ მზე გაშრობს განთიადის ცვარს.  
ასე მარაზგამ შეგაძრწუნებს ტანჯვაწამება,  
რაღვანაც იგი, შენი მხსნელი, ჭერ არ შობილა.
- თ, რა გერგო ჭილდოდ კაცთა სიყვარულისთვის!  
არ შეუშინდი ღმერთთა რისხვას, და თვითონ ღმერთმა
- 30 მიხედე მოცვდავთ — ქომაგობდი განუზომელად.  
ამიტომ დადექ აქ დარაჯად უდაბურ კლდეთა,  
მეცნიერდრეულად და უძილოდ სვეტაღქცეულა.  
ხშირი ჩივილით და ამაო გოდებით ხმას ჰყოფ!  
მაგრამ რას გარებებს — ზექსის გული ულმობელია,  
სასტიკა არის მპრძანებელი ახალი მუდამ.

### ძალა

ქმარა, ამაოდ რად წუწუნებ და აგვიანებ?  
ღმერთთა მოძრულე ღმერთი რისთვის არ გეფაერება,  
ვინაც მოცვდავებს ის საუნჯე შენი გადასცა?

### შეფესტო

ნათესაური მე კავშირი მშეთან მაშინებს.

### ძალა

40 მე გეთანხმები, მაგრამ მამის ბრძანება დაპგმო, —  
შენ როგორ ფიქრობ, უგ საშიში უფრო არ არის?

### შეფესტო

შენ მუდამ უშედი, გულძვა, მკაცრი და პირქუში ხარ.

### ମାତ୍ରା

ପର୍ଯ୍ୟନ୍ତରେ କାହା ମାଲାମା ? ମିଳି କ୍ଷେତ୍ର ପ୍ରଶ୍ନେଲିଲି,  
ଦା ଅଧିକାରିମାତ୍ର ଉଚ୍ଚାରଣେତ୍ରଲଙ୍ଘ ନେତ୍ର ଗାନ୍ଧିଜୀବି.

### ଶ୍ରେଷ୍ଠସତ୍ର

ଓ, କୃତ ଶ୍ରେଷ୍ଠାରିଦା ଅଥିଲା ରୋଗ, କ୍ଷେତ୍ରନବା ହେବି!

### ମାତ୍ରା

ହାତିମ ଶ୍ରେଷ୍ଠାରିଦା ? ଶ୍ରେବ କ୍ଷେତ୍ରନବା, ମାରିତାଲି ହାତ ଉତ୍ସଵ,  
ଶ୍ରେବ-ଶ୍ରେବ-ଶ୍ରେବ ଶ୍ରେବ ବିରାଳିବା ସଙ୍ଗେ, ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠାରିନୀତିରେ.

### ଶ୍ରେଷ୍ଠସତ୍ର

କ୍ଷେତ୍ରରେ କୃତି ଶ୍ରେବ ଶ୍ରେବ ଶ୍ରେବ ଶ୍ରେବ ଶ୍ରେବ !

### ମାତ୍ରା

50 ଲମ୍ବରତି ପରାମର୍ଶ ମଦିମ୍ବ ଶରୀରରେ ଗମନକିଳିଲେବା,  
ତାଙ୍କିରିପରିପରି କଥ ଶରୀରରେଲିବାନ ଶବ୍ଦରଙ୍ଗ ଶ୍ରେବିବା.

### ଶ୍ରେଷ୍ଠସତ୍ର

ଏହି କାରିଗାର କରିବା, ଏହି ଦାଖିରିପୁର୍ବ ମିଳି ଗମିତ ଦାସ.

### ମାତ୍ରା

ମାତ୍ର, କ୍ଷେତ୍ର ଆପନିରେବା, ଦାରୁଦେଶ୍ଵର ଏହି ଶରୀରକିଲେବା,  
ମାତ୍ରା ଶବ୍ଦରେଲିମା ଶ୍ରେବ ଶ୍ରେବ ଶ୍ରେବ ହାତ ଏହି ଗିବିଲା.

### ଶ୍ରେଷ୍ଠସତ୍ର

ଅତିଥି, ଶାଲତ୍ରେନି ମିଳି କ୍ଷେତ୍ରତାତ୍ତ୍ଵରେ, କାରିଗାର ଉପକିରି.

### ମାତ୍ରା

କାରିଗାର ଅଥିଲା ଶିଥ କ୍ଷେତ୍ରରେବି ଦା ଏହି ଶଲିକରି  
ଦାଖିରି ଶରୀର, ମତେଲିବା ମାଲିତ, କଲିଦେଶ ମିଳିପୁଣ୍ଡ.

### ଶ୍ରେଷ୍ଠସତ୍ର

ମନ୍ଦିରକିରି, ହେବି ଶରୀରରେ ଉନ୍ନାପନିକାରି ଏହି କାରିଗାର.

**ძალა**

კიდევ ღამეკარი. მოუჭირე მაგრად მარწუხი.  
ეგ ოსტატია, — გზას მოსძებნის უგზოობაშიც.

**შეფეხსტო**

- 60 ეს მკლავი მაგრა, საიმედოდ ჩაჭედილია.

**ძალა**

ეგეც ჩისჭედე, უშეცარმა ვინძლო შეიგნოს,  
რომ ზეცესი მასზე ბრძენი არის და შორსმჭვრეტელი.

**შეფეხსტო**

გარდა ამისა, არვის ძალუს ჩემი გაუიცხვა.

**ძალა**

ახლა ფოლადის წამახული შუბი მედიდურს  
მკერდში ერთოთავად დააძგერე და გაუყარე.

**შეფეხსტო**

ვაი, პრომეთე, შენი ტანჯვა უსაშველოა!

**ძალა**

არ გეშინია ზეცესის მტრების წინაშე მოოქმის?  
ფრთხილად, გოდება არ მოგიხდეს საკუთარ თავზე!

**შეფეხსტო**

უღვიო სანახაეს შენ აქ ხედავ საკუთარ თვალით.

**ძალა**

- 70 ვხედავ: დადგენილ სასკელს იღებს კუთვნილისამებრ.  
ახლა წექნებზე შემოაკდე მას მარწუხები.

**შეფეხსტო**

აყი გაჟეთებ მე ყველაფერს, ნულარ მაქეზებ!

days

მე განა მარტო წაგავჭებდ? გიბრძანებ კიდევ;  
ჩაბრძანდი ქვევით, დაალევი ფეხზეც ხუნდები.

ପ୍ରକାଶନ

ყველაფერს მოვრჩი, ჩემი შრომა არ იყო ძნელი.

days

დასცე ძლიერად, გაუხვრიტე ფეხის სუნდეზი: შენ აუმ შეატანო მოსამართლის წინაშე პასუხს.

ପ୍ରକାଶନ

შენი ხმა, სოტუვა, შენი სახის შესაფერისა.

drama

80 ရွှေခ ကျေလိုက်သွေလှစ်၊ အောင် မီ နို့မ ဆုံးဖြတ် ပေးပါသော၊  
လုပ်ကြသေး စိမ္ပာပုံဖျက်ပဲ ပြော မြန်မာဘ် လူ ပြော လုပ်ကြပါ၏။

Digitized by srujanika@gmail.com

შებოკილია პოტკილებით სულმთლად. წავიჲეთ!

дама

(36-37-38-39)

ମାତ୍ର ପାଇଁ କେବେଳୁ, ଏହି କାନ୍ଦମୁକ୍ତାଙ୍କୁ ଉପରୁ ଉପରୁ ଥାଇଲୁ  
ମନ୍ଦିରରେ ଶ୍ରେଷ୍ଠ ସାମଗ୍ରୀରେ ନାହିଁ। ମୋତର୍ଫର୍ମରେ ଯାଏନ୍ତି  
ରା ଅଛିଲା ଶ୍ରେଣୀ ଫର୍ମରୁ ନାହିଁ ମାତ୍ର ଅନ୍ତରେକାମନ୍ତରେ।

მცდარი გიმობენ შენ, პრომეტე, წინამდებარევრეტილს:  
თვით საჭიროებ ყოვლისმხილველწინამდებარევრეტილს,  
რომ ვპოვოს შენი თავდაწევის სამუალება.

(ଓঁ শশীলাল, মুসলিম প্রকাশনা বিদ্যুৎ সংস্থা)

შემინდა ეთერო! ო, ფრთამალნო, მქროლავნო ქარნო,  
ჩქარ მდინარეთა სათავენო, ზღვათა ურიცხვი

- 90 ტალღის ღიმილო სხივოსანო, შენ დედამიწივ,  
ყოვლისმხილველო მზისა დისკოვ,—ყველას მოგიხმობთ:  
მიცქირეთ, ღმერთი ღმერთებისგან ვით ვეწამები!  
ხედადეთ, როგორ წამებაში აქ უნდა ვიდგი,  
დავდნე მირიად საუკუნის განმავლობაში!  
ამ ბორკილებით ეს შერტვენა ჩემი ისურვა  
ნეტარ ღმერთების მშრძანებელმა, ახლადშობილმა.  
ვაი-შე, ვაი!

ამ დღევანდელ ტანჯვასა ვგლოვობ  
და თან ხვალინდელ წამებასაც, ორთავეს ერთად.

- 100 მწევე ტერიტორია დასასჩული როს ირიერებს?  
მაგრამ რას ვამხობ? რაც მეწერა — აღრეც ვიცოდი.  
მოულოდნელად არა ჭირი არ შემეყრება.  
უნდა გაეცემლო ბედისშერის მოქნეულ უროს,  
გადავიტანო მე ეს ხვედრი, ჩადგანაც ვიცი:  
გარდუვალობის მშრძანებლობა უძლეველია.  
მაინც ჩემს ხვედრზე მეძნელება დუმილი, გლოვაც.  
მე ვიტანები ასე, ჩადგან კაცო მივანიშე  
უხეი საუნჯე — ცეცხლი ძალად მოტაცებული  
და შენაზული ხმელ ლერწამის ლულა-ლეროში.

- 110 მან ხალხს ასწავლა თსრატობა, ხერხი მრავალი  
და დაანახვა დიღზე დიღი გზა ცხოვრებისა.  
თ, ამ ცოდვის საპასუხოდ მე ვეწამები  
აკ ბორკილებით მიჯაჭვული თავლია ცის ქვეშ.

აჲ, ვაი, ვაი!

ეს რა ექოა, უხილავი, თანაც სურნელი  
ღვთის მოციქულთა თუ მოკვდავთა მესმის ძახილი?  
აქ მოდიან, ამ შევბნელ კლდეზე,  
რომ ღმტებნენ ჩემი წამების ხილვით.  
ჩაშ, შემომხედვთ ღმერთის მიჯაჭვულს და სამრალოს,

120 ზევსის მოძულეს, მტერს, მოსისხლეს ყველა იმ  
ღმერთის,

ვინც ქედმოხრილად და სამარცხეინოდ  
დიდ ზევსის სახლში მონურად დადის.

კაცთ სიყვარულის გამო ვისჯები.

აქა, კვლავ მესმის გაფრენილ სირთა

სმაური, სტვენა და გაპობილი

მოქნეულ ფრთისგან შხუის ეთერი.

მზარავს ყოველი, რაც ახლოვდება!

(ორჩესტრის ნიდება ფრთიან ეტლში მფლარი ქორო ფერიებისა,  
ოკეანიდებისა).

### პაროდოსი

#### ქორო

##### სტრიუმ 1

ნე გეშინია! იმ კლდეს ვეწვიეთ,  
გაჯიბრებულნი მწყობრი ფრთებითა,

130 ნორჩ დლეთა შენთა ჩევენ მეგობარნი.  
ძლივსლა გავაღნეთ ხევწნა-მუდარით

იმ ჩევენი მამა მშობელის გული.

სწრაფმავალ ქარმა წარგვტაცა სმენა,

და ჩამოგვესმა მღვიმეთა შინა

ქალიბთა რკინის ექო და გრგვინვა.

დავაგდეთ რიდი და ფეხშიშველნი

გამოვემურეთ ფრთიანი ეტლით.

#### პრომეთე

ვათ, ა-ვათ,

ნაშობნო ტეთის შეილმრავალისა

140 და დიად მამხს ოკეანესი,

ფხიზელი ჩბენით გარს რომ უელის მთელ დედამიწას,—

ხედავთ: ვითა გარ მიგაჭული რკინხს ხუნდებით

კლდოვანი ქედის ქარაფების, ქვაშვეტთა ზედა!  
აქ ცდგვარ ახლა  
სამარცხვინო სადარაჯოზე.

### ქორო

#### ანტისტროფი 1

- ვხედავ, პრომეთე, და სამინელმა  
ნისლმა დაპბურა თვალები ჩემი, —  
ცრემლმა ოდავსო ისინი უშალ.  
150 ვხედავ შავ კლდეზე  
საჭენობად გაკრულს,  
ადამანტურის ხუნდით შერცხვენილს.  
ახლა ოლიმპის მესაჭე ისევ  
მეფობს ახალი, და ძველ კანონებს  
აწ ფეხქვეშ თელავს უხეშად ზევსი,  
და რაც დილობდა! — იქცა არარად!

### პრომეთე

- ნეტავ ჩავეგდე დედამიწის ქვემოთ — ჰადესში,  
მკვდართა მასპინძლის უსინათლო, ყრუ ჭოჭოხეთში  
და იქ დაედო უნდო გალათის ჩეინის ხუნდები,  
არმ ღმერის, ან ვისმე  
160 ჩემი ტანგვით არ გაეხარა.  
ახლა კი ქართა მოხეტეთა სათამაშო ვაჩ,  
მტერთა სამოლ, გასართობად გაწამებული.

### ქორო

#### სტროფი 2

ნეტა რომელი ქვაგული ღმერთი  
გაიხარებდა აქ შენს წინაშე?  
ვინ არა სტირის, გარდა ზევსისა,  
შენს ავტელობას? ის ბრაზიანი  
და ის უწყალო, ცდილობს აღმოფეროს  
ურანის მოდგმის ბებერი თესლი.

- არ მოისცენებს და არ დაღვება,  
 170 ვიდრე ბოლომდე გულს არ იცერებს,  
 ან არ წაჰვლეჭენ ხერხიან ბრძოლით  
 ხელთაგან წყეულ ხელისუფლებას.

### პრომეთე

- თუმცალა აქ ვარ ბორტილებით დაკიდებული,  
 დასახიჩრებულ-შერცხვენილი, — მას დავკირდები  
 და მაინც მე მთხოვს, ის მეუფე ნეტარ ღმერთების,  
 რომ მისი სკიპტრის და დიდების დამამხობელი  
 მე მას ახალი შეთქმულება შევატყობინო.  
 მაგრამ ხმატუბილი დაღალისით ჯადოს ვერ შემყრის,  
 ვერ დამიმონებს, ვერ მომნუსავს, ვერ დამიყოლებს,  
 ვერცა მუქარით შემაშინებს. და გამომტეხავს,  
 180 სანამ არ მყირის ავ ბორტილებს  
 და არ ისურეებს, —  
 შეგინებისთვის რომ მოშიზლოს სამაგიერო.

### ქორო

#### ანგისტროფი 2

- შენ ხარ, მამაცი და შენ სიმწირე,  
 ვძირი, ორმაგიც ვერ დაგაჩოქებს!  
 თავისუფალი, პირამთქმელი ხარ.  
 ელდის ძარანი სულში მერკობა,  
 დიდაღ ჩაშინებს მე შენი ხეედრი:  
 ვაჲ, თუ ტანჯვის ზღვა ველარ გასცურო!  
 190 შეუვალსა და ულმობელი  
 აუდიდა გული კრონოსის ძინა.

### პრომეთე

- ვიცი, ვით არის ულმობელი, რომ ზევსს ჰყონია, —  
 მისი კანონი თვითნებური და უგუნური  
 მართლა სიმართლეს და სამართალს ემსახურება.  
 მაგრამ ერთხელაც ვამი დამკრავს და მაშინ ივი

გახდება მეტად ზულყეთილი და მოალერსე,  
თავის ულმობელ რისხვას დათმობს ბედით თელილი,  
იჩქარებს შეჰქრას მეგობრული ჩემთან კავშირი,  
იჩქარებს, და მეც შესახვედრად გამოვალ მაშინ.

### მაისონი პირველი

სცენა პირველი

#### ქორი

- 200 მარქვი უოველი აშკარად, სრულად:  
რა ბრალს გდებს ზევსი, ან რისთვის გებრძევის?  
რად გტანჯავს, გრისხავს ასე უწყალოდ, —  
გვაწმავე, თქმა თუ არ არის მწვავე.

#### პრომეთე

თქმა მწარე არის, უტემელობაც — ტანჯვაა ჩემთვის.  
ერთიც, მეორეც უოველის მხრივ უსიამოა.

ოდეს უკვდავთა შორის გაჩნდა უთანხმოება,  
ღმერთთა სასტაი, ბობოქარი, მავინდარი ჯანყი,  
და განიზრახეს მათ კრონოსის ტახტის დამხობა,  
რათა ზედ ზევსი ასულიყო, ზოგს კი სწყუროდა,

- 210 არ შესძლებოდა ზევსი იქ ჯდომა მეუფედ ღმერთთა, —  
მაშინ ტიტანთა, ცის და მიწის შეილთათვის კიდევ  
კარგის მჩქეველი და შთამოგონე მე გიყავ სწორედ.  
მაგრამ ისინი ტყბილი სიტყვით ვერ დავააჩვენენ,  
რადგან მზაყვრულ ხერხს უარპყოფილნენ ქედმიღლურიადა,  
აქვარა ბრძოლით აპირებდნენ გაბატონებას.

დედაჩემი კი — ერთი, მაგრამ სახელმწირავალი:  
თემილე, ცვა, არა ერთგზის, მომავალ დღეთა  
წინამწარ პერეტია, მეტყველებდა და მასწავლიდა,

- 220 რომ ქვეყნად არა მამაცობა და მარტო ლონე,  
ახამედ ხერხი იმკვიდრებსო ძალაუფლებას.  
მათ აღთქმა იგი გაეუმელავნე, მაგრამ განავდეს,  
უურად არ იღეს და სრულიად არ შეიწყნარეს.

მაშინ უკეთეს, საიმედო გზად მივიჩნიე: დღედას, თემიდეს, დახმარებით ჯა მასთან ერთად, ნებაყოფლობით, მე ახლა ზექსს მივშველებოდა. ჩემ რჩევის გამო მოხდა ის, რომ იმ ჯოჯოხეთის შავ-ღრმა ჯურილმულში დაიმარხა კრონისის მოდგმა და ყველა მისი თანამგზავრი. მაგრამ შველისთვის — ღმერთთა მეუფებ ულმობელად იძია შური.

- 230 განა ასეთი ავი სენი არ სჭირო მტარვალებს: არ დაუჭერონ და არ ენდონ თავის მეგობარს! ხოლო თქვენ მყითხავთ: რა მიზეზის გამო მაწვალებს, რად მასახიჩრებს, მტანგავს იგი? აშკარად გეტყვით: მალე, როს ტახტი დაიმკვიდრა მამისეული, მაშინვე ღმერთებს მიანიჭა ზექსმა პატივი და სამოძვარი მრავალგვარი განუყო ყველას. — კაცი ბუღშავნი დაივიწყა და კიდევ მეტიც: ახლა აღმოფხერა განიხრახა მოკვდავთ მოღვმისა, რომ მის ადგილს დაენერგა სულ სხვა, ახალი. —
- 240 და ჩემს გარეშე მათი შემწე აჩავინ იყო. მე კი გავბედე შემართება, რათა მოკვდავნი ჰადესმის სრულად შთანთქმისაგან გადამერჩინა. აი, მის გამო მდრეკი ისეთი ავი წამება, რომ მისი ხილვა — საჩარია, განცდა — მეტადრე. კაცი მოკვდავნი შეგნებულად მე შევიბრალე, — ჩემი ტანჯვა კი ახლა აჩვიყ არ ენალვლება. ისე გამწირა უმოწყალოდ ღმერთთა ხელმწიფებ, რომ მას თვით აჩცევენს ჩემი ტანჯვის სანახაობა.

### ქორო

- გული რეინისა, ანუ ქეისა უნდა ჰქონდეს მას, 250 ვინც დღეს, პრომეთე, შენს ტანჯვაზე არ შეძრწუნდება. მე კი მერჩია, არ მენახა წამება შენი, გნახე და ვტირი, მწუხარებით გულდათუთქული.

### პროშეთე

დღეს ჩემი ხილვა, ალბათ, მტერსაც დაენანება.

ქორთ

იქნებ მეტი რამ ჩითდინე, ვიდრე მითხარი?

პრომეთე

ჰო, განვარილე კაცნი ბედის წინასწორუსერას.

ქორთ

ნეტავ რა წამლით უმცურნალე შენ იმათ სენსა?

პრომეთე

მის ნაცვლად გელში ჩაეცნერგე ბრძა იმედები.

ქორთ

ეს მოკვდაფთათვის დიდი განძი, საჩუქარია.

პრომეთე

და კიდევ მეტი: მე მოკედავებს ცეცხლი მივეცი.

ქორთ

260 ნუთუ გიზგისა იმ ცეცხლს პფლობენ უფემერები?

პრომეთე

ის მრავალ ხერხს და ოსტატობას მათ შეასწორები.

ქორთ

შენ ამ მიზეზის გამო ასე გაწვალებს ზევსი?

პრომეთე

მტანგავს, მაწვალებს, მასაძისჩრებს ბოროტი ხელით.

ქორთ

ამ შენს წამებას, სამარცვინოს, არა აქვს ბოლო?

პრომეთე

თუ არ ასურებს ზევსი, ასე ფიქრიც მეტია.

### ქორთ

ვით არ ისურვებს? იმედს არ სჭრებ? სცან, რომ  
შესცოდე?

ამას რომ გვითხავ, ჩემთვის ლიდად უსიამოა,  
შენთვისაც ტანჯვა არძის, მაგრამ ვანეზოთ თავი:  
სჯობს გამოსძებნო ვზა სახსნელი ავტედისაგან.

### პრომეთე

- 270 სანამდე კირში არ ჩაუდგამს ვისამე ფეხი,  
მან უბედურის დარიგება ღდვილად უჩანს.  
ხოლო გატვით თქვენ: ეს წინასწარ ყველა ვიცოდი,  
და შეგნებულად, ჩემის ნებით ხალხს დავეხმარე.  
არა უარვყოფ, არ ვუფრთხოდი მის გამო სასჯელს.  
თუმცადა მეთ დიდ წამებს არ მოველოდი:  
ამა უდაბურ, უკაცრიელ და ვერან კლდეთა  
გულფიცხ ლოდებზე ღაფილებას, მარადეამ დაშლას.  
კმარი, იყუჩეთ, აქ ჩემ გამო აუ ნუღარ გოდებთ.  
ეაბლეთ მიწა, მალუდ მალე სცანით ყოველი, —  
280 მომავალ დღეთა ჩემთა ბოლო და დასასრული.  
კარგად მისმინეთ, მომისმინეთ. თქვენც ჩემთან ერთად  
ცოტა ეწამეთ. ვაწაწულა, ავბეჭი განა  
ერთისგან მუდამ მეორესთან არ მიღის სტუმრად?!

### ქორთ

- პრომეთე, ჩემი ნებისამებრ, შენს დაძახილზე  
მსუბუქი ფეხით ამ ეტლიდან გაღაფრინდები.  
დავტოვებ ეთერს და სწრაფმავალ სიჩთა ბილიკებს,  
წმინდა, ცისვერ ვშებს.  
ფრიალოკულდიან დედამიწას თავს დავტრიალებ.  
მინდა ეისმინო, თავით-მოლომდე,  
290 მე შენი ტანჯვის გამო ამბავი.

(ჩნდება ფრთიან შერამზე შედარი მოხუცი თვეანე)

## ოკეანე

მე გრძელ საზღვართა გზები გავლიე  
 და ასე მოველ შენთან, პრომეთე,  
 ჩემის ნებითა, უაღვიროდა,  
 ჩქარფრთიან მერნის გამოქროლებით...  
 მენდე, მაღონებს შენი ავხედი.  
 ჯერ ერთი, ჩემი თვისტომი ხარ  
 და ამის გარდა, —

300 მეუნად ენ არის, შენი ტედი ჩემებრ სტანჯავდეს?  
 წრფელი რომ არის ზემოთქმული, თვითონ გაიგებ.  
 მაგას თვალთმაქცერი და ცბიერი სიტყვა საოცრია.  
 მარქვი: მე როგორ დაგეხმარო,  
 და აღიარე,  
 რომ არ გვაჭი მეუნად მეგობარი და ნათესავი,  
 ოკეანეშე უფრო ძლიერ რომ გიერთგულოს.

## პრომეთე

ოქო, მაოცებ! შენც მოდიხარ, რათა უყურო  
 აქ ჩემს წამებას? დიდად მიყვირს: როგორ გამედე  
 შენი სახელის მოზიარე ზღვის, ოკეანის,  
 და პირველებნილი მღვიმების კლდეთა დაგდება;  
 რომ რეინის-დედის ქვეყანაში მოსულიყავი!  
 310 ჩემი ავხედი, შემზარევი, შენგა გაშფოთებს?  
 შეხედე წარმტაც თვალისსეირს: ზევსის მოკეთეს,  
 ვინაც ღმერთს ტახტი მოუპოვა და ხელმწიფობა, —  
 ამ იყივ ზევსი როგორ ლუპავს და ასაჩინრებს.

## ოკეანე

ეხედავ, პრომეთე! უკეთოლეს რჩევით მოგმართავ,  
 თუმცა ხარ თვითონ მრავალფერი შენ ხერხიანი,  
 ზე შეიცვალე, გონიუდ მოდი და თავი იცან!  
 განა ახალი არ მბრძანებლობს ღმერთებს ბატონი?

შენ კი ჯიუტობ, ტყიურ სიტყვას ისკრი, იძახი,  
და თუმცა მალლა, ტახტესა ზედა, შორსა ზის ზეგსი, —

320 იქაც მიწვდება და იცოდე, მაშინ წარსული  
ტანჯვა და ჭირი თამაშობად მოგეჩენება.

დააგდე ბრაზი, გულისწყრომა, შე უბედურო,  
უძებე, პპოვო გზასაშეელი აებედისაგან.

იქნებ დრომოკმულ თქმად ჩისთვალო შენ ჩემი ბჭობა,  
მაგრამ, პრომეთე, ქედმაღალი სიტყვის შედეგი  
თვითონ გაქცეს ახლა შეგნებული შენ ჩემზედ უფრო.

მაინც არ დაცხრი, არ დამშვიდდი, და ამის ნაცვლად,  
ცდილობ აკ ხიფათს დამატო ისევ ხიფათი.

გასსოფედეს ჩემი ნაუბარი, დამიჯერებდე,

330 რომ შუბლით კედელს ვერ გააჩიდევ და ვერ შევმუსრავ.  
ხედავდე: მეფობს უბატონო, მკაცრი ხელმწიფე.

ჩე წავალ მსთან, შევეცდები, იქნების შევძლო  
და გამოგიხსნა ამ უწყალო წამებისაგან.

შენ კი იყუჩე, დაიმიკლე როგორმე ენა.

ხარ ყოვლისმოოდნე, ბრძენზედ ბრძენი და, რაც არ იცი,  
რომ ამაო თქმას და უჩჩ სიტყვას მოსდევს სასჯელი?

### პრომეთე

შშუას შენი, რაღგან დაუსჯელად დაიარები,  
ჩემთა ზრახვათა და საქმეთა თანაზიაზი.

მაგრამ ნე ზრუნავ და ამაოდ ნე გაირჩები:

340 ნე გერა ზეგსი დააჩწმუნო ოდესმე შენა.  
დახე, მაგრეაზ გზით, არ შეგემოხვევს თვითვე ხიფათი.

### ოკეანე

შენ უკეთ იცი დარიგება მოყვასის, ვიღრე  
საჟუთარ თავის, სიტყვა შენი ღალადებს ამას.

შაგრამ ნე მიჰერ, ნე მაკაცებ, ვაცი და მჯერა,  
მჯერა, მაჩუქებს შენს თავს ზეგსი და მოისურვებს  
ამიერიდან შენს გამოხსნას წამებისაგან.

### პრომეთე

გაქებ ამისთვის, შენს ქებაში კიქნები მარად,  
რაღგანაც შენი მონდომება ძლიერ დიდია.

მაგრამ ამაოდ გაიჩვები, უქმად იშრომებ

350 და განუსჭელად, თუ კი შრომის მართლა აძირებ.

აშ განზე დადექ, შენთვის იყავ წყნარად და მშვიდად  
მე ვიტანგები, მართალია, მაგრამ არა მსურს,  
რომ ამის გამო სხვაც ეწამოს, საჯარდებელად  
ჩემი ღვიძლი ძმის — ატლანტისა ბედიც მეყოფა.  
შორს, დასავლეთის საზღვრებზე დგას და მის ღონიერ  
მხრებს ებჯინება ცის და მიწის ბოძის სიმძიმე,  
არა მსუბუქი და ოლად სატარებელი.

გულს მიყლავს კიდევ, კილიკიძ მღვიმეთა შინა  
მცხოვრები გმირი, მომთაბარე, მიწით ნაშობი —

360 ტიფონი დევი — ის უჩჩესული ასთავიანი,  
ვინც ყველა ლმერთებს გადაუდგა და აუმხედრდა.  
ურჩულიალებლენენ ზარდამცემი ხშასტვენით ყბები  
და ცეცხლს აფრევევდა გულშემზარავ თვალთაგან  
შმაგალ.

ძალით უნდოდა, რომ დაემხო ლმერთი მტარვალი,  
მაგრამ მარატებ ძილ-ფხიშელმა ზევსის ძსრებმა,  
ცეცხლმონებულმა მეხმა დასცა და მყის განგმირა  
და მან დააცხრო იგი კვეხნა-ქადილის გამო.  
ელვა ეძერა, მეხმა დასწევა, გაანადგურა,  
სულმთლად წართვა მას ძალ-ღონე უკანასკნელი.

370 ვიწრო სრუტესთან გაიშალს უმწეო ტანა.

წევს და აწვება მცერდზე ეტნის ფუძე და ფესვი,  
იქ კი, მწვერვალზე ზის ჰელესტო, და გამუღმებით,  
გარვასა რკინის სკედს და ჰეკვერავს. მაგრამ დრო მოვა —  
მთის წიალიდან ავარდება ცეცხლის ლვართქაფი  
და ვალურ ყბებით მიაღვება და სულ გადახრავს  
მწველ სიცილის ნაყოფიერ და ფართო ყანებს.  
თუმც ზევსმა ციოვან მეხმა ძსრით დაანახშირა,  
ტიფონი მაინც ხვატით გამუნარ ბრაზის სიშვავეს  
და ცეცხლისმეშენი ივ გრიგოლის ცოცხ წმოანთხევს.  
380 მაგრამ ჩაღ ვინდა, რომ გასწავლა, უკიცი არ ხაძე,  
და ვით გერჩიოს, საფუთარ თაეს იხე უშველე.

მე კი დავრცელი, ბედისწერის ბოლომდე შევსუმ,  
სანამ გულიდან ზევსი რისხვის არ ამოიღებს.

### ოკეანე

წუთე პრომეთე, შენ არ იცი და არ გამენია,  
რომ გონივრული სიტყვა არის ბრაზის მცურნალი!

### პრომეთე

ვი, თუ ჩვენ დროშე დავამებთ გულის ბმო-მუწუკას,  
მაშინ სიმსივნეს დაჩირქებულს არ ვამიზეზებთ.

### ოკეანე

ჩემ მონდომების და განზრახვის აღსრულებაში  
შენ რა ცუდს ხედავ, რად არ მოგწონს, გამავებინე!

### პრომეთე

390 ექმი შრომაა, განუსკოლი გულყეთილობა.

### ოკეანე

მომეცი ნეტა, ე მაგ სენით შეც დავანეულდე,  
რაღან ბრძენს შვენის, რომ ხანდახან ბრიყეად ჩათვა-  
ლონ.

### პრომეთე

ჩემად ჩათვლიან, მეშინია, იმ შეცდომასაც.

### ოკეანე

მამ, შენ ნამდვილად, ე მაგ სიტყვით, მე შინ მისტუმრებ?

### პრომეთე

ჩემშე ტირილით რომ არ გერგოს შენ მისი მტრობა.

### ოკეანე

ვინც უზენაეს, ახალ ტახტზე ახლა დამკვიდრდა?

### პრომეთე

დაახ, ნურასუროს შეამჭოთებ იმის გულს შენა.

## ოკეანე

გაყვეთილია შენი ჭირი ჩემთვის, პრომეთე!

## პრომეთე

წადი, იზრუნე შეინახო ეგ შენი ცკუა.

## ოკეანე

- 400 მე უსიტყვოდაც გზას ვადგივარ, ჩემი ოთხფეხა  
მფრინავი ფრთებით ჰკეცის ეთერის ცისფერ ბილკების  
მას უხარის, რათა ძავვ მოჰყაროს მუხლი  
და მოისვენოს თვის მშობლიურ ბოსლის ბაგაზე-

## სტასიმი პირველი

### ქორო

#### სტასიმი 1

დაუტირი მე შემს უბედურ ხვედრისა,  
ცრემლთა დენითა, ხედავ, პრომეთე!  
ქველაც მეღვერებიან ცხემლო ნაყალულნი,  
ჩამოდენილნი ნაღველიან წყაროდ  
ამ ნაზ თვალთაგან ნოტიო ღაშვზე.

- 410 ზევსი თვის სამწყებოს ძალით ამაგრებს  
და გულზევიადი, წინათ ღეიძლ ღმერთებს,  
აუ შებით მეხავს და იმორჩილებს.

#### ანტიასტასი 1

ტირის და გოდებს ეგ დედამიწი!  
დასტირის ყველა  
გარდამულ ეძმის შემს ძველ დიდებას,  
შემს ძმებს — ტირანებს, პატივის ღირსთა...  
დასტირის ყველა, ყველა ვინც ცხოვრობს,  
აზისის ახლო თქმულ საძოვრებზე.  
სტირიან ერთად, ძლიერ გულსაყლავ  
ამ შემს წამებს ყველა პოვედაუნი.

### სტროფი 2

- 420 | კოლხიდის მკვიდრნი: ყმაწვილნი ქალნი,  
ოშმი მამაცუნი და უშიშარნი,  
დედამიწისა შორსა მხარეში,  
შეოტის ტბის ბრაგა-კბოდებთან  
მომთაბარენი სკეითთა ურდონი.

### ანტისტროფი 2

მზე და მშვენება არის ქვეყნის, —  
მკვიდრნი, მცხოვრებნი კავკასიონთან, —  
მტრისა ლაშქარნი, ტყეებზ აჯარულ,  
წამახულ შებთა ზათქით და ზარით.

### სტროფი 3

- 430 მე მხოლოდ ერთ ლმერთს კუნობდი, ფოლადის  
ხუნდით შერცხვენილს — ატლანტს ტიტანსა,  
მაგრამ უბადელო და ძალასანი  
ის ღონისერი, ძლიერი ქედით  
ახლაც ცის ბორს ზიდავს სიმძიმეს.

### ანტისტროფი 3

რბის და ლრაალებს ზღვის მოტალება.  
გოდებს ჰალების უფასურლი შავი.  
ქუს და გუგუნებს მიწის ჭურღმული.  
შეს მწარე ტკივილს კვენესით სტირიან  
წმიდად-მავალნი მდინარეთ წყალნი.

### მაისობი მოორი

### პრომეთე

- 440 ნუ ფიქრობთ ვდუმდე ქედმალლობის, ზეაობის გამო.  
არა, მე დარდი გულს მიღალავს, როდესაც ეხედავ  
ჩემს თავს ამგვარად შეგინებულს და შერცხვენილსა.  
განა მე ახალ იმ ყველა ლმერთს არ მივანიჭე

განძი, დიდება და პატივი შესაწირავი?

რაც იცით, მასზე არას გეტყვით, ხოლო უსმინეთ  
მოკვდავთა მძიმე ხელრის გამო ახლა ნაუბარს:

ისინი იყვნენ ჩეილებიცთ უტყვი, უგონო,  
და მე ჩავუდგი ჩაუქრობი აზრი, გონება.

ამას რომ ვამბობ, არა ყველრი, არამედ მინდა

450 ჩემი წყალობის და სიკეთის არსი გაიგოთ.

კაცი მხედველნი, — უსინათლოდ მაინც რჩებოდნენ,  
ისმენდნენ, მაგრამ არ ესმოდათ და მიათრევდნენ  
რაღაც ნისლიან, ძილისმაგვარ დღეთა გრძელ ჭაპანს.  
მათ არ იცოდნენ ხურობა, ხის თლა, გარანდვა,  
არც აყრისმგან ნათელმზიან სახლის აგება.

ეთთარცა თარსი ჭიანჭველნი, ცხოვრობდნენ ისე  
მიწის ჭურამულის იმ უმშეო, ღრმა მღვიმეებში.

მაშინ ერ სცობილნენ გლახმოყვაზვნი ზამთრის ნიშანთა,  
ვარდის ფრიცლობის კამს მოწეულ გაზაფხულისა;

460 ერც მსხმიარე ზაფხულის კამს, კამს მწიფობისა,  
ასე ყველაფერს უყურებდნენ უგონოდ კაცნი,

და მე კუჩინენ ცის მნათობთა ჩასკლა, მოსვლა.

ეამწავლე თანაც ყველა სიბრძნის სათავე — წიგნი,  
რიცხვი ანგარიში და შთავნერე შთავონებული  
მეხსიერება — ეგ მეზათა დედა-მშობელი.

მევე დავალგი შლეგ პირუტყვებს ქედზე უღელი  
და დაეცემონე გუთნის ჭაპანს, საპალნეს, კურტანს.

შევემსუბუქე მით კაცს მძიმე შრომა და ჭავა,  
ეტლში შევაბი საღავეთა მორჩილნი ცხენნი,

470 ფუფუნებისთვის მდიდართაგან შეყვარებულნი.

და განა მე არ მოვიგონე სელის ფრთიანი,

ეგ აფრიანი მარბენალი ზღვაზე ხომალდი?

აღმოუუჩინე იმ საბრალო მოკვდავთ ყოველი:  
ხერხი, ხელობა, ლსტარობა. მე კი არ ვიცი,  
ამ ხიფათისგან გასაქცევი საშუალება.

### ქორო

ტანჯვა-წამების, სამარტენო უბელურებაშ

შენ წინანდელი ჰქვა მოგტაცა, სასო მიგხადა,  
ვით იმ ცუდ ექიმს სენ-შეყრილსა, რომ ვერ ახერხებს  
პპოვოს თავისთვის სამკურნალო რამე წამალი.

### პრომეთე

- 480 კიდევ მისმინე: გაოცდები უთუოდ ძლიერ,  
თუ რა ხელობა, ოსტატობა გამოვიგონე.  
იმ მთავარი: სენ-შეყრილი ვინმე თუ იყო,  
როდი იცოდა მისაღები და წასაცხები  
მარგი წამალი სამკურნალო და ჭლექილებოდა.  
მე შევასწავლე სამკურნალო ბალახთა წვენის  
მალამო-წამლის შეზავების უცნობი წესი,  
რათა კაცთაგან მით განმეგდო სენი ყოველი.  
მე შემოვიდე ღვთაებრივი წინასწართქმისა  
ხერხი, შეცნობა და მისნურთა სიზმართა ახ'ნა —
- 490 თუ რაა მათში ჰეშმარიტი და მოჭოჩილ.  
და გავატხადე გზის ნიშანთა სიმბოლოები.  
მე დავანახუ და ესწავლე მრუდებრეულიან  
სიჩთა გაფრენის მეოხებით კაუს მყითხაობა,  
მათი ადათი, ხსიათი, შური და მტრობა.  
სიჩთა სმა-ჟამა, დაზენილი თავშეყრა, ბჟობა,  
